კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

# საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.science.org.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 07 სექტემბერი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
www.science.org.ge

## გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
50,00%
81,82%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
61,54%
61,81%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
60,00%
35,50%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
13,79%
19,88%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
9,09%
13,50%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
14,29%
59,50%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
0,00%
0,00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
0,00%
0,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
0,00%
0,00%
0,00%
50,00%
100,00%

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:**

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

**1.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება აკადემიის პრეზიდენტის კომპეტენციის აღწერა. როგორც სატელეფონო კავშირის შედეგად გაირკვა, აკადემიის პრეზიდენტს ჰყავს 4 მოადგილე, მათ შორის ერთი - ადმინისტრაციის აპარატის უფროსი. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი არც ერთი მოადგილის კომპეტენციის აღწერა, ხოლო ადმინისტრაციული აპარატის უფროსის შესახებ ვებ-გვერდზე არანაირი სახის ინფორმაცია არ მოიძიება.

**2.** არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა და სამსახურის შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა. ხოლო აკადემიის საფოსტო მისამართი (საფოსტო ინდექსზე მითითება) მოიძიება მხოლოდ ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „წევრები“:

«საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია»
აკადემიური საბჭო

საბჭოს პრეზიდიუმი

**თამაზ გამყრელიძე, აკადემიკოსი**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი**
მისამართი:
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,
რუსთაველის გამზ. N52
0108, თბილისი
ტელ.:
სამსახური: 99-88-91
ფაქსი: 99-88-91
ელ.ფოსტა:
t.gamkrelidze@science.org.ge

**ფრიდონ თოდუა, აკადემიკოსი**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტი**
მისამართი:
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,
რუსთაველის გამზ. N52
0108, თბილისი
ტელ.:
სამსახური: 99-89-06
ფაქსი: 99-88-23
ბინა: 29-04-33
ელ.ფოსტა:
fridon.todua@science.org.ge

სასურველია აკადემიის საფოსტო მისამართი (საფოსტო ინდექსზე მითითება) მოცემული იყოს აგრეთვე, ვებ-გვერდზე არსებულ ქვე-განყოფილებაში „დაგვიკავშირდით“.

**3.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება აკადემიის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (სტრუქტურული ერთეულების სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტა და ფაქსის ნომრები), აგრეთვე, არ მოიძიება აკადემიის მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

**4.** ვებ-გვერდზე მოცემულია აკადემიის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, თუმცა სასურველია აქვე მითითებულიც იყოს რომ მოცემული ნომერი წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერს:

აკადემიის საკონტაქტო ინფორმაცია განთავსებულია ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „აკადემიის შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „დაგვიკავშირდით“, რაც სირთულეს ქმნის მომხმარებლისათვის აღნიშნული ინფორმაციის მოძიების მხრივ. სასურველია მოცემული ქვე-განყოფილება განთავსებულ იქნეს ვებ-გვერდის მთავარ გვერდზე.

**5.** ვებ-გვერდზე არ არის მოცემული აკადემიის ზემდგომი (მაკონტროლებელი) ორგანოს, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დასახელება და სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გადასასვლელი ბმული

**6.** ვებ-გვერდზე არ არის მოცემული  აკადემიის მიზნებისა და ამოცანების აღწერა.

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

**7.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება აკადემიის სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება აკადემიის სტრუქტურის სქემატური (სტრუქტურული ხე) ან ინფორმაციული აღწერა;

- არ მოიძიება სტრუქტურული ერთეულების კომპეტენციის, ფუნქციების და მიზნების აღწერა;

- არ მოიძიება სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების კომპეტენციის აღწერა;

- არ მოძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.

აკადემიის სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალს აკლია შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: გ.წერეთლის სახელობის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აჭარისა და ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო ცენტრი. სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალში წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულის - ქართული ენციკლოპედიის ბმული არ იხსნება:




**8.** ვებ-გვერდზე წარმოდგენილ სათათბირო ორგანოს - აკადემიური საბჭოს შემადგენლობას აკლია აკადემიური საბჭოს სტრუქტურა.

- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

**9.** აკადემიის ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა და ტენდერების არქივი, საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, სტატისტიკური მონაცემები, პროგრამები და პროექტები, გეგმები და პროგნოზები, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები *და ა.შ.*

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „პუბლიკაციები“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „პერიოდული გამოცემები“ განთავსებული რიგით მეორე, მესამე და მეოთხე ბმული არ იხსნება:

ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „სტრუქტურული ერთეულები“ განთავსებული ბოლო, რიგით მეოთხე ბმული არ იხსნება:

**10.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება შემოსული/გასული კორესპონდენციის რეგისტრი.

- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

**11.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება აკადემიის ხელმძღვანელ პირთა მიმდინარე საქმიანობის შესახებ თითქმის არანაირი სახის ცნობები. კერძოდ:

- არ მოიძიება აკადემიის პრეზიდენტის გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები, ცნობები მისი ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ, აგრეთვე, ცნობები მისი მონაწილეობის შესახებ ამა თუ იმ ღონისძიებებში; (ვებ-გვერდზე განთავსებულ განყოფილებაში „სიახლეები“ მოიძიება ერთადერთი ცნობა აკადემიის პრეზიდენტის მონაწილეობის შესახებ ღონისძიებაში და მისი განცხადების ტექსტი);

- არ მოიძიება აკადემიის პრეზიდენტის არც ერთი მოადგილის გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები, ცნობები მათი ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ, აგრეთვე, ცნობები მათი მონაწილეობის შესახებ ამა თუ იმ ღონისძიებებში.

**12.** სამსახურის ვებ-გვერდზე განთავსებულ განყოფილებაში სათაურად „სიახლეები“ მოყვანილია ძალზედ მწირი საინფორმაციო ხასიათის ცნობები აკადემიის შესახებ:



**13.** ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „სტატისტიკა“, სადაც განთავსდებოდა აკადემიის მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია და მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ აკადემიის საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას.

**14.** ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება „პროგრამები/პროექტები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროგრამების/პროექტების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს აკადემია. აგრეთვე, სასურველია მოიძიებოდეს ცნობები იმ პროგრამების/პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს აკადემია. *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, აკადემიისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე), შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) ამომწურავი ჩამონათვალი, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს აკადემია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის აკადემიის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/mecniereba_proeqtebi.pdf);*

**15.** სასურველია ვებ-გვერდზე არსებობდეს (ქვე-)განყოფილებები „საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და საქართველოს მეცნიერებათა პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

**16.** სასურველია ვებ-გვერდზე არსებობდეს (ქვე-)განყოფილება „ტენდერები“, სადაც განთავსდებოდა აკადემიის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და აკადემიის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია.

**17.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება აკადემიის მმართველობის სფეროს მიკუთვნებულ ამა თუ იმ დარგის განვითარების გეგმების აღწერა და მომზადებული პროგნოზები.

**18.** სასურველია ვებ-გვერდზე არსებობდეს (ქვე-)განყოფილება „ვაკანსიები“, რომელშიც განთავსდებოდა ვაკანსიათა არქივი, აგრეთვე საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (აკადემიის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი

კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

**19.** ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება სათაურად - „კანონმდებლობა“ ან „სამართლებრივი აქტები“, სადაც განთავსებული იქნებოდა აკადემიის საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, საქართველოს მინისტრების ინდივიდიუალურ ადმინსიტრაციულ-სამართლებრივი აქტები, აგრეთვე საკანონმდებლო აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები. აგრეთვე აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული იმ ორგანიზაციათა დებულებები, რომლებიც სტრუქტურული ერთეულის ფორმით ექვემდებარებიან აკადემიას. აგრეთვე, აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული გამოჩენილი მეცნიერებათა აკადემიური სახელობითი პრემიების მინიჭების სანიმუშო დებულებები და აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ადმინისტრაციული აპარატის დებულება/შინაგანაწესი.

ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „აკადემიის შესახებ“ მოცემულია მხოლოდ ორი სამართლებრივი აქტი, მათ შორის ერთი მოცემულია ძველი მდგომარეობით:



აკადემიის წესდება სასურველია მოიძიებოდეს განცალკევებულ (ქვე-)განყოფილებაში. სასურველია აღნიშნულ (ქვე-) განყოფილებაში აგრეთვე მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- საქართველოს კანონი მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ
- საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

**19.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

**20.** ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და აკადემიაშ შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

**21.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა აკადემიასა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აკადემიასა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

**22.** ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „ტენდერები“, სადაც განთავსდებოდა აკადემიის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და ასევე, სამსახურის მიერ განხორციელებული

სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია.*(პროექტ **,,საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის'' ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ,,ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი**", საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე), აკადემიის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის აკადემიის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

*http://www.opendata.ge/pdf_files/mecnierebataac._shesyidvebi.pdf);*

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

**23.** ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება სათაურად „ვაკანსიები“, სადაც განთავსდებოდა ვაკანსიათა არქივი, აგრეთვე საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (აკადემიის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

**24.** ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი აკადემიის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის არანაირი ინფორმაცია:

- არ მოიძიება აკადემიისათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ყოველწლიური ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება აკადემიის ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების / ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია; *(პროექტ **,,საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის'' ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ,,ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი**", საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011*

*წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს აკადემიის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ გმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/mecniereba_biujeti.pdf);*

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება აკადემიის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე), ადმინისტრაციისა და სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის აკადემიის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ გმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/mecnierebata_xelfasi0001.pdf);*

- არ მოიძიება აკადემიის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს აკადემია;

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ სამსახურისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.

*შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:*




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
44,44%
2. ძიება
0,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
25,00%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
0,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
33,33%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
50,00%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
14,29%
9. ელექტრონული ჩართულობა
0,00%
10. ელექტრონული სერვისები
9,09%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
0,00%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
15,38%
0
0,1
0,2
0,3
0,4
0,5

- **ნავიგაცია**

ვებ-გვერდის რუკაში არსებული კატეგორიების პრიორიტეტები არასწორად არის განსაზღვრული. მაგალითად „პუბლიკაციები“ არის ზედა დონის კატეგორია, ხოლო „პერიოდული გამოცემები“ არის ქვედა დონის კატეგორია, ვებ-გვერდის რუკაში კი ორივე კატეგოია ერთ დონეზე ჩანს;




- **ძიება**

ძიება ვებ-გვერდს საერთოდ არ გააჩნია რაც ხელს უშლის მომხმარებელს სასურველი ინფორმაციის მოძიებაში;

- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

ვებ-გვერდზე შესვლისას ყოველთვის ჩანს მისი ზედა ნაწილი, რაც ამცირებს პერსონალური კომპიუტერის მონიტორის სივრცეს და ხელს უშლის ელექტრონული რესურსის მარტივად აღქმას:




- **საკონტაქტო ფორმები და წესები**

საკონტაქტო გვერდი ვერ მოიძებნა, იგი არც ვებ-გვერდის მენიუში გვხვდება და არც რუქაში

- **ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა**

ვებ-გვერდის ზოგიერთი გვერდი არ იხსნება, მაგალითად სურათში აღნიშნული ბმული:



ბმულზე გადასვლის შემდეგ:




- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

ის ტექნოლოგია, რითიც ვებ-გვერდია შექმნილი მომხმარებელს არ აძლევს საშუალებას გაავრცელოს ან გაუზიაროს სხვა მომხმარებელს, კონკრეტულად რომელიმე გვერდი, რადგან ნებისმიერ გვერდზე გადასვლით ვებ-გვერდის მთავარი ბმული არ იცვლება, მაგალითად თუ ვიმყოფებით სიახლეების გვერდზე ვებ-გვერდის ბმული მაინც უცვლელია:



ლოგოზე დაჭერით ვებ-გვერდი არ გადადის მთავარ გვერდზე:

## ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

სავარაუდოდ ვებ-გვერდი შექმნილია დიდი ხნის წინ, რადგან მასში გამოყენებული ტექნოლოგია და სტილი ახლოსაც არ არის თანამედროვე ტექნოლოგიებთან. ეს ტექნოლოგია პოპულარული იყო 1996-1998 წლებში (იგულისხმება HTML FRAMES). ასეთი ტექნოლოგიებით დაწერილი ვებ-გვერდი არ არის ინდექსირებადი საძიებო სისტემებში, ასევე შეუძლებელია რომელიმე გვერდის გაზიარება სოციალურ ქსელებში. რეალურად შენიშვნებზე და გაუმჯობესებაზე ლაპარაკი რთულია, რადგან ვებ-გვერდი ძალიან ძველია და სასურველია მისი თავიდან აწყობა.